


„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სა-
რაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე
ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში; გარეშე
მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „ДРОБА“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—
8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ.
6 თვ.—5 მ., 5 თვ.—4 მ., 50კ. 4 თვ.—4 მ., 3
თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნაშრომი „დროების“ ღირს 5 კაპიკი.



გამოდის ყოველ-ღამე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე
8 კ., პირველზე 16 კ. სრული უგანასწავლი გვერ-
დი 25 მანათი; პირველი 50 მ. სტრიქონ-
ებისა ითვლება მათგან დაქვეყნდნის შემდეგ სტრიქონ-
ლობაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწავლებს და შეამოკ-
ლებს კაზახულად გამოკვეთილ წერილებს. დაუბეჭდავ წერი-
ლებს რედაქცია ვერ დაუბეჭდის ავტორს.

Объявления изъ Россіи, Царства Польскаго и за-
границы принимаются только въ цент. конторѣ объявъ
Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

„დროების“ ფასი აგვისტოს პირველიდან წლის დამლევამდე 4 მან. და 50 კაპ.; სოფლის მასწავლე- ბელთათვის 3 მან. და 50 კაპ.

შინაური ქრონიკა

მალაქში წყლის გამოყვანის
შესახებ მუშაობას, როგორც გავიგეთ,
ქალაქის გამგეობა ამ წლის სექტემბ-
რიდან შეუდგება. სულითა და გუ-
ლით ვისურვებთ, რომ ეს ხმა მართა-
ლი გამოდგეს და დღევანდლამდის
უზვად დაღვრილი ხმოსანთა მქვერ-
მეტყველება ქალაქის ქუჩებში მომდი-
ნარე წყლის ჩქრილად გადაიქცეს.

ჩვენ მოგვივიდა პატარა ბრო-
შიურა ნიკ. ს-მე ბამრეკელისა «სა-
ქართველოს სიძველენი: მეგობრელები
საქართველოში და ქართველები მეგობ-
რეში», როგორც ვტყობა, ბ. ბამრე-
კელი კიდევ აპირობს ამისთანა ბრო-
შიურების გამოცემას, რადგან ამის-
თვის პირველი რვეული დაურქმევია.

ხევი ძალიან მოხარულნი
არიან თურმე, რომ ეს მხარე საქარ-
თველოს ენარქიას აკუთვნეს და მო-
ხევენი არ დააშორეს იმათ, ვისაც
იგინი თავიანთ მამებედ სთელიან
სისხლითაც და ხორციითაც. მაგრამ

მტკვრანთა უფროსი წერილები

ფ შ ა ვ - ხ ე ვ ს უ რ ე თ ი ა

წერილი მესამე *)

აწინდელს მდგომარეობაში ხევის-
ბერობა სულ სხვა დაწესებულებაა,
ვიდრე ძველს დროს იყო. პირველად,
ამ დაწესებულებას ნიადაგად აღარ
აქვს კანონი, მას აღარ განსაზღვრავს
სახელმწიფოებრივი ძალა; ხევის-ბერი
როდღაა მოხელე, ორგანი სახელმწი-
ფოსი; იგი მოკლებულია კანონის ძა-
ლით ყოველ გვარს განსაკუთრებულს
ღირსებას და ისეთივე უბირი და უბ-
რალა არსებაა, როგორც თვითველი
მთიელი, მისი თანამოძმე. მეორედ,
ხევის-ბერობამ ფაქტიურად (და არა კა-
ნონის ძალით) სხვა მიმართულება
მიიღო, მისი მნიშვნელობა სხვა ნია-
დაგზე აღმოცენდა, სწორედ იმ ნია-
დაგზე, რომელსაც ძირითადად უარ-
ჰყოფდა ძველი კანონი. მკითხველმა
იცის, რომ ძველს ხევის-ბერს კანონი
უჭრძალავდა გავლენას საეკლესიო

*) იხილეთ „დროება“ № 165.

გამოჩნდნ ვილაც-ვილაცები, თურმე,
რომელნიც, არ ვიცით რა განზრა-
ხვით აქა-იქა დადიან და მითქმა-მო-
თქმით ცდილობენ ხევი ძავეკეს მია-
წერონ. ამ პირთა შორის არის მ.
იტ—ი, რომლის უკანონო ქცევებზედ
ბევრს იწერებინან ამ მხრიდან.

ხევიდამევე გვეწერენ: «საქარ-
თველოს ყველა კუთხეებიდან მოდიან
აქ სხვა-და-სხვა მკითხავეები და სხვა და
სხვა სწეულობის შემოლოცველნი. ალბად
გავიგეს, რომ აქაური მკითხავე-
დევანოზები ვერ აკმაყოფილებენ ხალხ-
სა და ვინ გინდა რომ ყოველ წელი-
წადს ხევიდამე ნადავლი არ წაიღოს:
ქართლელი, გუდამაყრელი, მთიული,
ცხინვალელი, ურიები, და სხვ. ასე
გასინჯეთ ბოლოს დროს ხევისურეთი-
დანაც კი ჩნდებიან მოხევეების თვა-
ლის-ამხვევი მკითხავეები...»

თბილისის მეორე გიმნაზია აცხა-
დებს შემდეგს: ა) მეორედ დასაქვრი
ეგზამენები მეორე გიმნაზიის შეგირ-
დებისა დაიწყება აგვისტოს 21-ს გან-
საკუთრებულის წესით, რომელნიც
შეიძლება ნახონ მსურველთ გიმნა-
ზიის კანცელიარიაში ყოველ დღე დი-

საქმეებზე, ხევის-ბერი განდევნილი
იყო ეკლესიის სამფლობელოდგან, —
კათალიკოზი და ეპისკოპოზი განაგებ-
დნ მთაშიც, როგორც სრულიად
საქართველოში, საეკლესიო საქმეებს;
ესლა კი ხევის ბერობა, ხელ-დაბანი-
ლი «ლაშქართა თეადობაზე», მიხ-
დილი ძველს დიდებას და პატივს,
მეჭურებია რელიგიურის შენობის
ქვესაკ-კი არა, კუთხის ბოძს და აქ,
ამ ბოძთან, უხელმძღვანელებს ერს,
საზოგადოებას. ღიან, ესლა ხევის-
ბერობას თუ რაიმე აზრი და მნიშვნე-
ლობა აქვს, ეს აზრი და მნიშვნელო-
ბა რელიგიურია, ეკლესიური, თუმცა
მცირედი ნაშთი ძველის მოქალაქე-
ბრივის მოვალეობისა კიდევ ბეჭუტავს
ამ ოდესმე ბრწყინვალე დაწესებულე-
ბაში თუ ძველს დროს ხევის-ბერი
«ლაშქართა თეადი» იყო, ესლა იგი
«სალოცავეების» და «ხატების» თეა-
დია, თუ უწინ იგი დროშით შინ
მიუძღოდა დარაზმულს ჯარს, ეს-
ლა ხატისთვის შეწირულს ზვარა-
კის სისხლის დანთხევაში ჰპოვებს
იმ მაღალს მოვალეობას, რომელ-
საც წინად ბრძოლის ველზედ ჰპო-
ვებდა!.. ღიან, ძველს დროს ხევის-

ლის რვა საათიდან შუადღის პირველს
საათამდის, კვირა უქმე დღეების გარ-
და. ბ) მისაღები ეგზამენები დაიწყება
აგვისტოს 23-ს დილის ცხრა საათი-
დამ. მე-IV და მე-VIII კლასებში მი-
ღება ადგილის უკონლობის გამო
სრულიად არ შეიძლება. გიმნაზიაში
შესვლის მსურველთ უნდა წარმოად-
გინონ კანონით აღნიშნული დოკუ-
მენტები და თავიანთ ფოტოგრაფიუ-
ლი სურათი; (?) უამათოდ მათი მი-
ღება არ შეიძლება. მხარელოთა შევი-
ლებმა, გარდა ხსენებულის დოკუმენ-
ტებისა, უნდა წარმოადგინონ პოლი-
ციის მოწმობა მასზედ, რომ მათს
მშობლებს თბილისში ცხოვრების ნე-
ბა აქვთ.

საცხენისის პირველ-დაწყებითი
სასწავლებელი უცხადებს ნათესავეებს
და ოპეკუნებს მცირე წლოვანებისას,
რომელთაც ამ სკოლაში სახელმწი-
ფო ხარჯით შესვლის ნება აქვთ, რომ
ამ წლის აგვისტოს 20-ს მოხდება სა-
ზოგადო კენჭის-ყრა.

ზაზეთი «ძასპი» გეცნობებს,
რომ სიმენსონს ძავესილიდამ რუსეთში
თითბრის წაღება ზღვით ჯერ კიდევ
არ შეუწყვეტია და დღევანდლამდის
80,000 ფუთი გაუტანია, რომლის
ღირებული ფასი შეადგენს 800.000
მან. ფუთი რომ 10 მან. ვიანგარი-
შით.

ბერი გამსკვალული იყო წმინდა და
მაღალის მოქალაქობრივის გრძობით
და ეხლა-კი იგივე ხევის-ბერი შებო-
ქილია ერთის გრძობით, ერთის აზ-
რით—ემსახუროს ხალხის ზნეობის
დამამცირებელს ჩვეულებათა, რომელ-
თაც ფეხი გაუდგავთ სარწმუნოებრივის
ზღუდენი. აწინდელს თვის მდგომა
რეობაში ხევის-ბერობა ბევრად მო-
გეგონებს რელიგიურს მწველებლო-
ბას, რომელსაც ებრძვის ეკლესია.
საყურადღებო და ღირსად-შესანიშნა-
ვია ეს ბრძოლა. მრთს მხარეს სდგას
ხევის-ბერობა, ხალხის გრძობით და
სასოებით ფრთებ-შესხმული, წაქეზე-
ბული, მეორეს-მხრით მაღალ ზნეობ-
რივი სწავლა ქრისტიანობისა და მათ
შორის როდის, ადრე თუ გვიან, დამ-
ყარდება მშვიდობიანობა, ძნელია გა-
დაქრით ითქვას; ეს-კია, რომ რაც
დრო და ქამი მიდის, ბრძოლა უფ-
რო მეტად ხდება, უფრო სასტიკი...
სხვა-და-სხვა მიზეზის გამო ძვე-
ლის დროიდან ხევის-ბერობამ ღრმად
და მკვიდრად ფეხი მოიკიდა ხალ-
ხის რელიგიურს ნიადაგზე და აქა-
მომდე დაიცვა საპატორო სამფლო-
ბელო. თუ რა სახარბიელოა ეს

ზაზეთს «ძავესს» გაუგონია,
რომ ვითომც განზრახვა ჰქონდეთ ამ
მცირე ხანში თბილისის საქალბო
პროგიმნაზია მისი იმპერატორების
უმადლესობის დიდი კნენა ოღვა
მეოდორეს ასულის სახელობაზედ
დაარსებული სრულს გიმნაზიად გა-
დააკეთონ.

ამავე ვაზეთს აცნობებენ, რომ
თბილისის რკინის გზის ვოგზალიდამ სა-
ქონლის შიდაე იზვოშიკებს არზა შეუ-
ტანიათ ქალაქის გამგეობაში მაზედ,
რომ ექვსის წლით მაინც შეაყენონ
ცხენის რკინის გზით საქონლის ზიდვა.
არზაში თხოვნის მიზეზად ის მოჰ-
ყავთ, რომ საქონლის საზიდად ცხე-
ნის გზის გახსნით 200 იზვოშიკი
ულუკმა-პურად დარჩება. პირობის
ძალით-კი არც გამგეობას და არც
საბჭოს ნება არა აქვთ იზვოშიკების
თხოვნა შეასრულონ.

შინანთა სამინისტროში ამ ქამად
იმაზედ ჰთუქრობენ, თურმე, რომ შე-
სამჩნევად გაადიღონ გარდასახალი სამ-
ზღვარ-გარეთის პასპორტებზე.

როგორც სხვა სტუდენტებისათვის
დაწესდა ფორმის ტანისამოსი, ისე
დაწესდა იგი პეტერბურგისა და ხარ-

სამფლობელო, სხანს იმ მკვანე
და შმაგინი კიცხვიდამ, რომელსაც
ხშირად მოპირდაპირენი უძღვნიან
რომელიმე ხევის-ბერს: «სკვის-სკვი
ქსშ-და-ტატორი, მატყუარა, ზნეობის
და საწმინდობის დამამცირებელი და ცრუ-
მორწმუნეობის გამაგრებელი კაცო...
ერთის შესედეჯობით წარმოადგენს სა-
ხარებაში აღწერილს კშმა-კეულს» და სს *).
ზოგიერთა ამ სიტყვებში იქნება ბეე-
რი სიმართლეც იყოას, მაგრამ ეს მარ-
ტო ხევის-ბერზედ არ ითქმის. ამ უკა-
ნასწენლს არა ნაკლები უფლება აქვს
იმავე სიტყვებით მიმართოს თუ მთელს
პოწინააღმდეგე დასს არა, ზოგიერთა
მის წარმომადგენლებს მაინც. ღიან,
უფლება აქვს, მაგრამ ამაზე სჯა ჩვენ
არ შეგვეხება.

ზემოდ ვუჩვენეთ, რომ ისევე ძველს
საქართველოში ხევის-ბერობამ დაიპყ-
რო რელიგიური გავლენა, ხევის-ბერი
შეიქნა საეკლესიო წესების აღმასრუ-

*) იხ. «მწვემსი» № 14 წერილი მდ ი.
კოშორიძისა. საუვეთესო, ახალ-გაზდა მოძ-
ღვარს, როგორც არის მდ. კოშორიძე, უფ-
რო საუფკვლიანად და პირუთვნელად უნდა
წარმოეთქვა თვისი შეგედულობა, ვიდრე
წარმოსთქვა ხსენებულს წერილში.

კოვის ტენოლოგიურ ინსტიტუტები-სათვის. ამის გამო ინსტიტუტებში ახლად შემსვლელთ, ანუ პირველსა და მეორე კურსზედ მკოფთ უნდა აუცილებლად ახალი ფორმა შეიკრონ და მესამე, მეოთხე და მეხუთე კურსის სტუდენტებს კი ნება ეძლევათ სამის წლის განმავლობაში თავიანთ ტანისამოსში იარონ

წელს ხარკოვის ექტერინარების ინსტიტუტში სწავლის ფასი გადიდებულია. მოსწავლეთ უნდა წელიწადში 40 მანათი შეიტანონ. ფასის მომატება თვით ამ ინსტიტუტის მთავრობის თხოვნით მომხდარა.

ძალ ნიცაში ივლისის 20 რევოლუციური უკრავს თავში თავადს მიხეილ პლექსანდრეს-ძეს ზაგარინს, 67 წლის მოხუცს. ზაგარინი, თურმე, საუკეთესო გვარის შეილი იყო და სამ მილიონამდე შეძლებდა ჰქონდა, მაგრამ უკანასკნელ გროზამდე წააგო იგი მონტე-კარლოს სათამაშო სახლში. ექიმებს მორჩენის იმედი აღარა აქვთო.

პეტერბურგში, სახელმწიფო ბანკში, დიდი ქურდობა მომხდარა. ამას წინად ერთს პოლკოვნიკს — სეუტანია შესანახად 220,000 მანათის სარგებლობანი ქალაქდები და ექვსის თვის განმავლობაში არ გამოცხადებულა. ამ დღეებში მისულა ბანკში და თავის ბილეთები უთხოვნია. ძალადების გასინჯვის შემდეგ ჩინოვნიკს უთქვამს:

- მეორედ ხომ არ გნებათ მიიღოთ თქვენი ბილეთები?
- როგორ თუ მეორედ, მე ჯერ არა მიმიღია-რა, უპასუხნია ბ—ს.
- რასა ბძანებთ, თქვენი ბილეთები თქვენმა ვეკილმა წაიღო.

ღებელი პირი, იგი ვახდა სასახლსო მოძღვრად. მიზეზი ამ მოვლენისა უნდა მოიძებნოს იმ განსაკუთრებულს მდგომარეობაში, რომელშიც მთა იმყოფებოდა: თუმცა მთაში აღრე დაინერგა ქრისტიანობა (342—364 წ.წ.), **) მაგრამ იგი აქ ვერ აღორძინდა. მთა მოშორებული და თითქმის მოწყვეტილი იყო საქართველოს იმ ნაწილიდან, სადაც ჰყვარდა სწავლა-განათლება, სადაც მონასტრებიდამ იფინებოდა ხალხში გამაცხოველებელი სხივი ქრისტიანობისა. ხშირად ეკლესიას შეძლება არა ჰქონდა თავისი მოძღვარნი გავგზავნა მთაში. მრთხელ დანერგული ქრისტიანობა-კი საჭიროებდა ისეთს პირებს, რომელთაც უნდა დაეცვათ თუ შინაარსი და აზრი ქრისტიანობისა არა, გარეგანი წესები და ჩვეულებანი მაინც. ღა სწორედ ამ ნაირ პირებად აღმოჩნდნენ ხევის-ბერნი, რომელთაც ამ შემთხვევაში ხელს უწყობდა მათი დიდი გავლენა ხალხზედ. ამ მხრივ, ხევის-აზრით, ხევის-ბერობამ საკმაო სამსახური გაუწია ეკლესიას, შეუწაზა მას მიყრუებულს ალაგს, მოსლემინებით

— მე არც ვეკილი მყავს და არც არაერთის მიმინდნია ფულის გამოტანა.

მოახდინეს გამოძიება და აღმოჩნდა რომ ვილაც ს წარმოუდგენია ბ—ს რწმუნების ქალაქი, ნოტარიუსში შემოწმებული და ფული გაუტანია მს დოკუმენტი, რა თქმა უნდა, ყალბი გამოდგა.

რაკი ყალბ დოკუმენტებზედ ჩამოვარდა ლაპარაკი, ბარემ იმასაც ვაცნობებთ მკითხველს, რომ ბერძანიაში მოუგონათ ახალი ქალაქი, რომელზედაც შეუძლებელია რაიმეს ამოშლა და მასუკან ჩაწერა, როგორც ხშირად სხადიან უბრალო ქალაქზედ ყალბი დოკუმენტების მკეთებელნი. ამ დღეებში ერთს რუსის ქიმიკოსს უტღია ეს ქალაქი რამდენიმე მცოდნე პირის თანა დასწრებით და აღმოჩენილა, რომ თუ ამ ქალაქზედ ამოშლიან რასმე, ამოშლილის ალაგს ქალაქი სრულიად სხვა ფეს იღებს და სიყალბე აღვილად ამკარავდება.

პეტერბურგში დაუჭერიათ ვილაც კავასიელი მარლატანი, რომელიც უწინ თურმე ღვინის სარდაფში უბრალო ბიჭად იყო და მასუკან თავადი შეიღობა დაირქვა. სარდაფიდან გამოვლდების შემდეგ ამ არსებას სამი წელიწადი საღაც უყვლია, სხვა-დასხვა ხრიკები უსწავლია და მასუკან ლამაზად ჩაცმული ახლის ტიტულით გამოსულა ახალს ასპარეზზედ. მან თურმე რალაც ელექსირების ყიდვა დაიწყო და დოქტორადაც გაიხდა თავი. ჯიბეში ფული გამოუღვეელი ჰქონდა და მშვენიერად სცხოვრობდა. ამ სიძლიერის წყაროდ იგი თავის ელექსირს ასახელებდა, მაგრამ სრულიად სხვა კი აღმოჩნდა. თურმე

გარემოცულს, ის წესები, რომელნიც ცოტათი მაინც მოაგონებდნენ ხალხს ქრისტიანობას. მაგრამ ხევის-ბერობამ დაიცვა მარტო გარეგანი წესები, ფორმები რელიგიურის კულტისა იმიტომ, რომ იგი სრულებითაც არ იყო ისეთი დაწესებულება, რომელსაც შესძლებოდა თვით მსოფლიო იდეასა და ქრისტიანობის მაღალს აზრს წინ გასძლიოლოდა. ამ გვარი ხელმძღვანელობა თხოულობს პროფესიის კაცებს და ხევის-ბერნი ამ პროფესიის პირნი არ იყვნენ. აი რისათვის ძველადგანვე ხევის-ბერობა აღმოცენდა რელიგიურის კულტის ფორმალისმზე და აქამომდე მარტო ეს მიმართულება და ხასიათი-ღა შერჩა მას. ღიად, ეხლაც ხევის-ბერი მარტო ფორმას ემსახურება და აზრს, იდეას-კი არას დაგიდევს. ღა არც ვასამტყუნარია— ხევის-ბერი ისეთივე მცოდნეა ქრისტიანობისა, როგორც ყოველივე მისი მეზობელი, სხვა მთიელი. მთიელს, ხომ, ისე ვერ შეუგნია და შეუთვისებია ქრისტიანობის შინაარსი, როგორც მაგ., შედარებით განვითარებულს და კულტურულს ქართლელს. ჩვენი წარსული ისტორია ცხადად ამტკიცებს, რომ ყოველ დროს მთა

დოქტორობის სახელით ზოგიერთ შეძლებულ ოჯახს შეუჩნდა, თავის კარგის შეხედულობის წყალობით ქალეზის გული მოინადირა და როდესაც მსხვერპლს თავისთან შეიტყუებდა, ან რამდენიმე ათასი თუმნის თამასუქზედ აწერინებდა ხელს, ან გამოამკარავებდას ემუქროდა. საბრალო მსხვერპლი, რასაკვირველია, თამასუქის მიცემასა რჩევობდა, საქვეყნოდ ნამუსის ახდას.

წლევანდელმა მოუსაყლობამა და გვალვამ რუსული ვაზეთები ალაპარაკა იმაზედ, რა საშუალება ვიხმაროთ ამ ბუნების მოვლენის ასაცილებლადო. ამას წინად ვაზ. «ნედელია» ურჩევდა უფრო ღრმად და აღრე ხენა-თესვას, რადგან მიწის სიღრმეში თესლი უფრო ნოტიოდ ინახება და ნაადრევს პირახულს გვალვა ვერას აკლებსო; ეხლა მეორე ვაზეთი «რუსკია მედომოსტია» მიაკცევს ყურადღებას უმთავრესს სენს, რომელიც ჩვენს ქვეყანასაც ძალზედ გაუჯდა— ტყეების მოსპობას— და პირ-და-პირი თხოვს რომ ტყეების ჩება ყველგან მთავრობისა და ერობის ზედამხედველობის ქვეშ სწარმოებდეს, როგორც საქსონიაშია და ბავარიაში და ახალი ტყეების გაშენებასაც ხელი შეეწყო სო.

უკსოეთი

ღიდი ხანია, რაც ვაზეთებში ასახელებენ პორტს ჰამილტონს, რომლის ხსენებაც კი უწინ არსად ყოფილა. ვაზეთებისათვის რომ დაგეჯერებინათ, ინგლისელები დღეს იჭერდენ ამ ნავთ საყუდელს, ხვალ ისევ თავს ანებებდენ. მხლა კი ინგლისელებს იგი

დაბლა იდგა (და ეხლაც ხომ სდგას) კულტურით ვაკე ქართლზე; მთას თავისი ხვედრი წელილი არ შეუტანია იმ საზოგადო საღაროში, რომელსაც საქართველოს პროფესია და კულტურა ეწოდება; იქნება მთიელს დიდი ნიჭიცა ჰქონდეს, მაგრამ აქამომდე ეს ნიჭი უნაყოფო ნიჭად დარჩა და, ვგონებ, დიდ ხანსაც დარჩება; ამ ნიჭს ჯერ ასპარეზი არ ვახსნია. ძიდეც ამიტომ მთა, მთილის ისტორიის მსოფლობას დროს, იყო და დარჩა უთვითმომქმედო ძალად, რომლითაც სარგებლობდა განვითარებული საქართველო. მრისტიანობაც, დანერგული კლდეანს ნიადაგზე, მოკლებული განათლების პირობათა, გავრცელდა აქ უმეტესად თავისი გარეგნობით და ბევრი რელიგიური წესი დამახინჯდა, დაჰკარგა პირვანდელი მნიშვნელობა. ამ დამახინჯებულს წესებს ეხლაც გულ-მოდგინედ მისდევს საჯისი და თუ აწინდელს დროს ხევის-ბერს, ხალხის შეხედულობით, რელიგიური ძალა აქვს, ეს იმიტომ, რომ იგი ხალხის რელიგიურს ჰორიზონტს ვერ ვასტილებია, იგი აღმასრულებელია მისი, რასაც ცხოვრებაში მაგრად ფენი მოუყიდნია. სუდ-უბრალოდ კი არ ვუ

მართლა დაუჭერიათ და დაუჭერიათ სრულიად მოულოდნელად კატეხიზურის ოფიციალური ფუნქციონალური (Katholisch-nal de St-Petersbourg)-ი ამბობს, რომ ამაში ექვს ველარაინ შეიტანსო. ინგლისის აფიცრმა ამ ნავთ-საყუდელთან ისე უეცრად ამართა ინგლისის დროშა, რომ ინგლისის წარმომადგენელთ ჩინეთისა და იაპონიის წინაშე არც კი იცოდენ ეს ამბავიო; ხსენებულს აფიცრს ალბად პირ-და-პირი, საიდუმლო მინდობილება ჰქონდა. მს ფაქტი მით უფრო ყურადღების მისაკცევია რომ ჰამილტონი მშვენიერი სადგომია გემებისათვის და ისეთივე მნიშვნელობა აქვს აღმოსავლეთის ოკეანეში, როგორიც კუნძულის მალტას ხმელთა-შუა-ზღვაში.

ნემეცურის ვაზეთის «Kölnische Zeitung»-ის კორესპონდენტი სწერს ლონდონიდან: «მოლაპარაკება ავღანის სამზღვრის შესახებ სრულიად არ წაწყულა წინ და იმავე მდგომარეობაშია, რა მდგომარეობაშია ცვლადსტონმა დასტოვა. ლორდ სალისბიურის არ უნდა რისმე დათმობა და არც შეუძლიან. თუ მოწინააღმდეგე წინ წაიწევს, გენერალმა რომბერტსმა ემირის თანხმობით უნდა 20000 კაცით შანდაპარი დაიჭიროს. ამ საქმეს წინ უნდა უძღოდეს ქვეთამდე რკინის გზის გათავება. ლორდმა ჩერჩილმა გამოაცხადა კიდევ, რომ ქვეთაში საქარისი მასალა მოგროვდება ამ გზის შანდაპარამდე გასაყვანადო..»

მრთს არაბულს ვაზეთში სუაკიმიდამ შემდეგსა სწერენ მახლის სიკვდილის შესახებ: წინასწარმეტყველის მახმადის მზგავსად, რომლის მემკვიდრედ სთვლიდა თავს, მახლიმ ოთხი

წოდეთ ხევის-ბერს სასახლსო მოძღვარი. მართლაც და ხევის-ბერი სახალხო მოძღვარია და დარჩება კიდევ მოძღვრად, ვიდრე ხალხის გრძნობების და გონების ჰორიზონტი არ გაფართოვდება. თუმცა ზოგადი მიზეზი იქნება, მაგრამ მაინც უნდა ვსთქვათ, რომ საქმეს უმელოს განათლების გავრცელება და კერძოდ სარწმუნოებრივი ქადაგება და არა ის საშუალება, რასაც ასე ხშირად ხმარობენ ხალხში ხევის-ბერობის აღმოსაფხვრელად.

მეტადრე ხევისურეთში ხევის-ბერობას (დეკანოზობას) დიდი გავლენა აქვს ხალხზე. აქ ამ დაწესებულებამ იერარქიული წყობილობა მიიღო, ეს დაწესებულება მთელს კასტას წარმოადგენს, სადაც თანამდებობა და მოვალეობა სასტიკად არის განაწილებული კასტის წევრთა შორის; ხევის-ბერს თან მოსდევს სუჯისი, ხუცესს დასტურია და სხ. *) არც ერთი საყურადღებო მოვლენა კაცის სარწმუნოებრივს ზღუდღეში არ მოიპოვება, რომელზედაც დეკანოზს და ან სხვას

*) Густавъ Радде, „Хевсурія и Хевсурь“, стр. 90—96.

) Платонъ Иоселиани, кратк. исторія груз. церк. 1843 г., стр. 21.



ხალივი წინ-და-წინვე აირჩია და მათ მისცა უფლება ფულის მოგროვებისა წმიდა ომისათვის. შეროსი ხალივი იყო აბდულა, მისი ძმის-წული. მან-დის დამარხვის უმაღლესი, აბდულამ შეკარა სარდალნი ხართუმში და რჩევა მოახდინა მასზედ, განეგრძოთ ომი მევიტესთან, თუ რამდენიმე წლით მშვიდობა ჩამოვადგოთო. ამასთანავე აბდულამ გამოაცხადა, რომ ბიძი-ჩემის ხაზინაში ოცი მილიონი პიასტრია უწმინდესთან ომის გასაგრძელებლადა. მითონ აბდულა დროებით მშვიდობიანობის ჩამოგდებას რჩევობს, თურმე, და სარდლების თანხმობას ელის მხოლოდ.

მალე რომში უნდა მოიყაროს თავი კრიმინალ-ანტროპოლოგიურმა კონგრესმა, რომლის ნაყოფი, უეჭველია, ფრიად შესანიშნავი იქნება. ამ კონგრესში უნდა განსაჯონ, თუ რა ცვლილება უნდა მოხდეს სისხლის სამართლის კანონში მეცნიერების საფუძველზედ. მაგრამ ამ პრაქტიკულის გადაწყვეტილების გარდა, კონგრესში იქნება სჯა შესახებ სხვა და-სხვა გვარის ავაზაკობისა და ადამიანის აგებულების, ან ცხ. აგრეთვე გავლენისა ამ ავაზაკობაზედ. კონგრესში მოგროვილი იქნება თავის კვებები 700 ავაზაკისა, 3000 მათივე სურათი, 150 ავაზაკის ტიპი, ხელოვნურად შენახული, მათი ნაწერები, თხზულებები და სხვ. სჯა ექნებათ უმთავრესად სხვა-და-სხვა ავადმყოფობის დამოკიდებულებაზედ ავაზაკობასთან; კონგრესში დაესწრებიან სწავლულები ყველა ქვეყნიდან და ზოგიერთ მათს თხზულებებში, რომელნიც უნდა იქ წაკითხულ იქნენ წარმოთქმულია, თურმე, აზრი სასჯელის შემცირებაზედ დუელისა-

თვის, ბაშის დაბადების ხელოვნურად მოსწრაფებისათვის და სხვ.

თვალ-საჩინო მაგალითად გამოადგება ინგლისურ «Pall-Mall-Gazette»-ს შემდეგი ამბავი მომხდარი იტალიაში ქალაქს ლიგორიაში: ამ ქალაქთან არსებობდა ერთი მონასტერი წმ. შილიესი, რომელშიაც ზღიდენ ობლებს და მშობლებისაგან მიტოვებულ პატარა ქალებს. ღაარსებულ იყო იგი ერთის ბერის პატრი შილიეს თაოსნობით, რომელსაც ხალხში თითქმის წმიდანის სახელი ჰქონდა გავარდნილი. პატრი შილიეს წინად განსაკუთრებით მონაწიეობდა ქალებს «აყენებდა სწორე გზაზე» და ამისათვის ყველგან შეჰქონდა იმედი და ნუგეში, როგორც ღარიბის ჰერქვეშ, ისე ციხეებში. ბოლოს საქმე ისე მოაწყო, რომ საკუთარი თავ-შესაფარი გაუკეთა ობლებს და მშობლებისაგან მიტოვებულ ბავშვებს. მათდა აღსაზღველად მოიხმო მონაზვნები სხვა მონასტრებიდან. ბარეშემო სოფლის მღვდლები დიდ ბედნიერებად რაცხდნენ, თუ კი მოახერხებდნენ და ამ დაწესებულებას ობლებს მიჰგვრიდნენ. მინ იფიქრებდა, რომ ეს წმიდა მონასტერი იქნებოდა ბუდე გარყვნილობისა და მონაზვნები მისნი მაგალითნი. მაგრამ ყოველ-ლამე, ამ მონასტერში, შედიოდა ხალხი ყოველისხნისა და წოდებისა და პატრი შილიეს ილუმენითურთ, 55 წლის დედაკაცი-თურთ, ერთად სისტემატიურად ჰრყენიდა თავის «გაზღილებს». მრთი 14 წლის ქალი ორსულიც გამოდგა. სმირმა მისელა-მოსელამ ხალხისა და ეკიპაებისამ ამ «საქველ-მოქმელა» დაწესებულების წინ მიიქცია ყურადღება პოლიციელებისა, ასე რომ პატრმა შილიესმ საჭიროდ დაინახა

თავის მონასტერი სადმე მიყრუებულად იგლას გადაეტანა. მაგრამ პოლიციამ თავის მხედველობიდან მაინც არ გაუშვა იგი და მალე ქეშმარიტება გამოცხადდა. ამის გამო წარსულის იგლისის 14-ს დაატუსაღეს როგორც ილუმენი, ისე სხვა «დები», რომელთა შორის მშვენიერი სახისანიც ერივნენ. ორი მონაზანი კი გაიქცა და ეხლა მათ ყველა იტალიის მონასტერში ეძებნენ. ხალხმა მოიწადინა პატრი ფილიეს, რომელიც ეხლა 70 წლისაა, ლუკმა ლუკმა დაეგლიჯა, მაგრამ სალდათებმა დაიფარეს პოლიციამ მაშინვე დახურა, თურმე, ეს დაწესებულება, თუმცა კარებზედ ჯერედ კიდევ აკრულია ფიცარი შემდეგის ზედ-წარწერით: «თავ-შესაფარი ობლებისა და მშობელთაგან დატოვებული პატარა ქალებისათვის».

ნემეცების ქალაქს რატისბონს უცხრად განზორბიან ყვავები რომელთაც ამ ქალაქის სობოროს კომპეტებზედ ებუდათ. 1873 წელს სწორედ ამისთანავე შემთხვევა მოხდა, თურმე, და ყვავების გაფრენას თან ხოლერა მოჰყვა. მსლაც ხალხი შიშობს ყვავების გაფრენა ხოლერას არ მოასწავებდესო.

სხვა და სხვა ამბავი.

გასკოს ფიგაროში შემდეგი საინტერესო ცნობებია მთელის ქვეყნის ურნალ-გასკეთების შესახებ: მთელს დედამიწის ზურგზედ 35,000 ურნალი და გასკეთი იბუქდება. გერმანიაში გამოდის 5500, რომელთა შორის 800 ყოველ-დღიური გასკეთია. ყველაზედ მეტად გავრცელებული არის „Berliner Ta-

geblatt“ იბუქდება 55,000 კვ. გემლა-რი. ინგლისში 4000 „Telegraph“-ი იბუქდება 250,000 კვ. „Standard“-ი 242,000, „Daily News“-ი 160,000 და „Times“-ი 100,000 საფრანგეთში გამოდის 4092, რომელთაგან 1586 ჰარიუსი და 2506 ჰროვინციებში. ამთ შორის ყოველ-დღიური გასკეთი მხოლოდ 360-ია. იტალიაში გამოდის 1400, ავსტრია-უნგარიაში 1200. ვენაში იბუქდება ერთი ურნალი ყურნალი, რომელშიაც შესვლით წერილებს ყოველ-ნაირ ენაზე და მასი თანამშრომლები მთელის დედამიწის ზურგზედ არიან გასკეთისი. ესპანიაში 860 გამოდგება და რუსეთში 800, რომელთაგან 200 იბუქდება ჰეტეროურგში და 75 მასკოკში. ბევრი გასკეთების საბერძნეთში, სადაც ყოველ მცირე ქალაქსაც ერთი ანუ ორი გასკეთა აქვს. მარტო ათინაში 54 გამოდგება; შვეიცარიაში 450 გამოდგება და ბელგიაში და ჰოლანდიაში სამას-სამასი. ოსმალეთშიც ვრცელდება ურნალ-გასკეთები. მაგ. სტამბოლში გამოდის 50 გასკეთი ოსმალურს, ფრანცუზურს, ინგლისურს, სომხურს და ბერძნურს ენებზე. აზიაში გამოდგებათ რიცხვი 3000-ზე ნაკლები არ არის. ჩინეთში მარტო სამი გასკეთია: „გინგ-ზაო“ (დედში სამჯერ გამოდის შვეიცარიაში), „ჩინ-ზაო“ და „ტუ-ზაო“. იაპონიაში 2000-ზედ ურნალ-გასკეთია. მათი სახელები ურნალურია: „გოჩიშიმუჟი“, „ჩინიჩინიშიმუჟი“, „ჩინიჩინიშიმუჟი“, და სხვ. ინდოეთის გასკეთებს, ადგილობრივს ენებზედ დაბუქდილებს ჰოეტური სახელები ქვეყნით: „მთები ნათელისა“, „სასკე მთვარის ამოსვლა“; „გომეული სე“, „ოკკანე სიბრძნისა“ და სხვ. სპარსეთში ექვსი გასკეთია; უმთავრესი მათში არის ოფი-

მის თანამოსამსახურეს ხელი არ მიუწვდებოდეს. დაბადებიდან სიკვდილამდე, და სიკვდილის შემდეგაც კი, კაცის სარწმუნოებრივი ცხოვრება კასტის გავლენის ქვეშ არის *) ეს კასტა მით უმეტეს ძლიერი და გავლენიანია, რომ ხალხის რელიგიური შეხედულება მეტად დაბალს წერტილზე სდგას, — როგორც მართლად განმარტავს ბატ. რადე, ხევისურს ერთის ლმერთის მაგიერ მრავალი ლმერთები სწამს და ამ ლმერთთა დასში ქრისტე-ლმერთი ერთი ლმერთთაგანია და არა სხვა ვინმე **). ბარდა ამისა, თვით კასტა საზოგადო კასტიურს საშუალებას ხმარობს, იმ საშუალებას, რომლითაც ყველა კასტა ძლიერია და იქნება კოდეც, — იგი თავის მისტიურს, ლეთებრივის შთაბოვბას უჩვენებს ხალხს, ატყუებს ამ უკანასკნელს, ვითომც წმინდანის საქმეა ხევის-ბერად აღმორჩევა,

ვითომ ხევის-ბერი, დეკანოზი და სხვ. თავისის წმინდა და უმანკო ცხოვრებით მალლა სდგანან ხალხზე. აქ, რასაკვირველია, მარტო სიცოცხლე და მანქანებაა, სხვა არაფერი, მაგრამ ეს მანქანება ისეა შეზავებული და მოხერხებული, რომ ხალხი ადვილად სტყუვდება. რა საჭიროა ეს მანქანება, ცბიერება? — იკითხავს მკითხველი. საქმე ის არის, რომ ამ მანქანების წყალობით ხევის-ბერობას და საზოგადოდ კასტას დიდი ულუფა ეძლევა, დიდი შემოსავალი. ბარდა სხვაგვარი შემოსავლისა, მარტო ხანმატის-ჯვარობას იკვლის 500-600 ცხვარი და 20-40 დიდი სული საქონელი. ზვარაკის ბლომა ნაწილი ხევის-ბერებს და მის ამქრებს რჩებათ. *) რომელი მთიელი იტყვის უარს ამ შემოსავალზე? ლაუმატეთ ამას ის პატივი-დიდება, რომლითაც ხალხი ყოველ შემთხვევაში აჯილდოვებს ხევის-ბერს, ზედ დაურთეთ დიდებული ისტორიული წარსული, რომელიც, ცოტად თუ ბევრად, ნათელს ჰყენს ამ უღირსს და უკანონო შეილს და მხოლოდ მაშინ შეიგნებთ — რისთვის იბრძვის ეს კასტა ასე მედგრად,

ასე თავ-განწირულად თავისის ინტერესების დასაცველად. ჩვენ აქ ვტოვებთ ხევის-ბერის მოქმედებას, აწინდელს მისს მოღვაწეობას. შემდეგს წერილებში კიდევ გვექნება შემთხვევა შევეხოთ ხევის-ბერობას, რადგანაც მას მთელს აქაურს სოციალურს ცხოვრებაში ქსელი გაუბამს, ყოველგან გაჩხიროლა. აქ მხოლოდ ეუჩვენებთ იმ ნაშთს ბრწყინვალე წარსულისას, რომელიც სკის-ბერობას შერჩენია. თუმცა ხევის-ბერს ციხე დაუნგრის, მაგრამ დროში კი არ ჩამოართვის. მსლაც ყველა სათემო ხატს თავისი დროში აქვს და ეს დროში ხევის-ბერს აბარია, მხოლოდ იგი მალლა აღმართამს ხოლმე მას ჯვარობას, ხატობას. მართალია, ეხლა დრომას აღარ მისდევს დარაზმული ჯარი, მაგრამ საჯვაროდ მორთულ-მოკმაზული ხალხი დიდის პატივისცემით უმზერს დრომას. თვით ხევის-ბერი თავისის დროშით ამ ხალხის ბატონია, მისი მძებნებელი; ერთი სიტყვაა საჭირო, რომ მედროშე ხევის-ბერს ხალხი ჰქონიაც და ღმინშიაც თან ვაპყვეს, — ისეთი მიმზიდველი, მისნური ძალა აქვს დიდებულს დრომას. ღა როდე-

საც ქართლელი ჰხედავს ამ ძალას, დიდს პატივის-ცემას დრომასადმი, გაცივრებულთა, განცვიფრებულთა. მხოლოდ მალალ-დრამატიული «სამშობლო» თავის დროშით თუ აღუძრავს მას იმ ძვირფას სულის და გულის დეღვას, რომლითაც აქ ყველა სტკებმა ხატის-ჯვარობას; დიად, აქ, მხოლოდ აქ დროში არ დაჰკარგა კიდევ თავისი პატივი, თუმცა ამ პატივის ძველი ასპარეზი აღარა აქვს. მსლაც, როგორც ძველს დროს, ხევის ბერობა საკუთრებაა გვარისა, ჩამამავლობისა, თუმცა ეს იურიდიული საფუძველი თან-და თან სუსტდება და ნელ-ნელა სხვა წესს უთმობს ადგილს; არ დაიფიქროთ ვერეთვე, რომ ეხლაც ხევის-ბერს, მეტადრე ხევისურეთში, გავლენა აქვს ხალხის სამართალზე. სათემო მიწის მფლობელობაც, ეს საუკეთესო სოციალური წესი აქაურის ცხოვრებისა, აქამომდე თუ მკვიდრად არსებობს, სხვათა მიზეზთა შორის, ხევის-ბერობასაც მიუძღვის აქ თვისი ხვედრი ღვაწლი. მაგრამ ყველა ამაზე ბასი შემდეგში მოგეთხოვოს მკითხველმა.

*) Г. Радде, стр. 75—89.
**) Г. Радде, стр. 89. ერთი ხევისური, მამასხალისი, მომრიგებულ სასამართლოში, საქმის გარჩევის დროს, გვარწმუნებდა ჩვენ, რომ მათი ლმერთები ჩვენს, ქართლელების, ლმერთს არა ჰგვანან, აკვლეუბი არიან და ძლიერ მალე შემოსწერებიან ხოლმე ხალხსაო.

*) Г. Радде, стр. 98.

